„დინამო“ (თბილისი) — „ტვენტე“ (ენსხედე) 3:2

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ФЕЛО

№ 183 (4693)

1972 წ. 14 სექტემბერი, ხუთშაბათი, ფასი 4 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკურ კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ფეხბურთი უეფა-ს თასზე

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 13 სექტემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტვენტე-65“ (ენსხედე) 3:2 (1:1).

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი.

„ტვენტე-65“: შრაივერსი, ვან ორსელი, დე ფრისი, დროსტი, ბარანენი, ვ. ვან დენ კერკჰოფი (ნოტენი), ახტერბერგი, ვან დენ ვალი, რ. ვან დენ კერკჰოფი, იორინგი, პალპლატი (ბიუფე).

მსაჯი ე. პაპავასილიუ. გვერდითა მსაჯები: ლ. ვულგარისი და ა. ბოსკატოსი (საბერძნეთი—საბერძნეთი)

უეფა-ს თასის გათამაშება ერთ-ერთი ავტორიტეტული ტურნირია და, ამდენად, თბილისის „დინამოს“ დებიუტი ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში ფეხბურთის მოყვარულთა უზომო ინტერესს იწვევდა.

დინამოელები მინდორზე საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ და მაყურებელი სამართლიანად მოითხოვდა მათგან უმაღლესი კლასის თამაშს. ეულასდროულად უნდა ვაღიაროთ, რომ, გამარჯვების მიუხედავად, თბილისელთა თამაშმა მაყურებელი ვერ აღაფრთოვანა.

ოავი დავანებოთ იმას, რომ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს მეტოქის კარის აღების რამდენიმე კარგი შანსი. შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყავით პოლანდიელთა კარში გატანილი სამი გოლით, მაგრამ შეშფოთებას იწვევს დაცვის სუსტი, მოუქნელი თამაში. მეტოქეთა მიერ გატანილი ორი ბურთი მთლიანად მცველთა ნამუსზეა. მეკარის შესანიშნავ თამაშს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენს კარში მეტი ბურთი არ აღმოჩნდა.

ასევე უნიათოდ გამოიყურებოდა ნახევარდაცვა. თავდასხმაში საუკეთესო იყო გ. ნოდია. საქმე მარტო ის როდი გახლავთ, რომ მან ორი ბურთი გაიტანა. აღსანიშნავია ის დაუღალავი, მონდომებული თამაში, რითაც ნოდია შუდამ გამოირჩევა. ამ მატჩში მან დრიბლინგის მაღალი ოსტატობაც გამოავლინა.

დინამოელთა თამაშში არ იგრძნობოდა მათთვის ჩვეული მაღალი ტემპი. სწორედ ეს დუნე თამაში გახლდათ, ჩვენი აზრით, მათი ერთ-ერთი ტაქტიკური შეცდომა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მატჩის შედეგი.

ბურთები კი ასე გავიდა: მე-4 წუთზე სტუმრებმა კუთხური ჩამოაწოდეს და იორინგმა თავური დარტყმით ანგარიში გახსნა. 22-ე წუთზე გ. ნოდიამ კარგად შეარჩია ადგილი და ანგარიში გაქვითა. 52-ე წუთზე იმავე ნოდიამ ბრწყინვალე დარტყმით მეორე გოლი გაიტანა. 75-ე წუთზე, ლ. ნოდიამ კარის გასწვრივ ჩააწოდა ბურთი და ყიფიანმა მესამედ აიღო პოლანდიელთა კარი. 2 წუთის შემდეგ კი სტუმრებმა ისარგებლეს დინამოელთა მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით და ანგარიშში სხვაობა შეამცირეს.

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი 27 სექტემბერს შედგება ენსხედეში.

ა. ᲬᲮᲝᲜᲯᲘᲐ.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ“

Ე. ᲙᲝᲜᲘ („ტვენტეს“ მწვრთნელი). თამაშით მაინცდამაინც ვმაყოფილი არა ვარ. მინდორი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ფეხბურთელები ძალიან სწრაფად დაიღალნენ. ჩემი აზრით, „ტვენტემ“ უკეთესად ითამაშა. ანგარიში ჩვენთვის ცუდი არ გახლავთ და საპასუხო მატჩში გავიმარჯვებთ.

● ვინ მოგეწონათ თბილისელთაგან?

ᲙᲝᲜᲘ. „დინამო“ კარგი გუნდია, ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. შესანიშნავად ითამაშა მეკარე გოგიამ. გამეებულ გოლებში ბრალი არ მიუძღვის. მეორე გოლი ისე გავიდა, ჯერ-ჯერობით, გოგიას ბრალიათ, მაგრამ ეს მცდარი აზრია. ბრწყინვალე იყო ცენტრფორვარდი ნოდია. მინდორზე გამოხატავდა შთაბეჭდილებას არ ახდენდა, მაგრამ რა ყოფილა თამაშში! ძალიან კარგი ფეხბურთელია. „დინამოს“ ჯერ-ჯერობით სუსტ მხარედ ნელი ტემპი მიმაჩნია.

● რას იტყვით მაყურებელზე, მსაჯზე?

ᲙᲝᲜᲘ. მსაჯობა კარგი იყო, მაყურებელმა კი პირდაპირ გამაოცა. ასეთი ობიექტური და მცოდნე მაყურებელი ერთად მინახავს. მადლობა მას.

● მაინც რას იტყვით ზომაგულ შეხვედრაზე?

ᲙᲝᲜᲘ. ხულ სხვა თამაში იქნება. ჩრისტე არა ვარ და ანგარიშს ვერ კი-თხასწარმეტყველებ. მაგრამ მოგების ალბათობა დიდი იმედი მაქვს. ენსხედეში „დინამოს“ რამდენიმე სიურპრიზს დავანახვებთ. მაგრამ 27 სექტემბრამდე ორი მძიმე თამაში გველის „ხიმკენთან“ და „ფეიენოორდთან“ და ალბა უკვე ამაზე ვფიქრობ. ენსხედეში შეხვედრამდე...

ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲑᲘ:

Ე. ᲙᲝᲜᲘ, Გ. ᲙᲐᲩᲐᲚᲘᲜᲘ, Მ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ, Ე. ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡᲘᲚᲘᲣ

Გ. ᲙᲐᲩᲐᲚᲘᲜᲘ (თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი). უკეთესი ანგარიშს იმედი მქონდა. მომავალ შეხვედრაში, რა თქმა უნდა, უკეთესად ვითამაშებთ. „ტვენტე“ ჩვენთვის სრულიად უცნობი გუნდი იყო. ახლა კი, როცა მისი თამაში ვნახეთ და მეტოქის სუსტი მხარეებიც დავინახეთ, შეგვიძლია სათანადო ტაქტიკა შევიმუშავოთ და შემდეგ ტურში გავიდეთ. ჩვენი ბიჭების თამაშით ძაინცდამაინც კმაყოფილი არა ვარ. ვიკი ნოდია კი მართლაც საუკეთესო იყო. მინდორზე ნამდვილი ლიდერი დღეს არავინ გახლდათ.

Მ. ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐ. პირველი წუთები ჩვენთვის ძალიან უიღბლო გამოდგა, ერთობ ფიერეულობდით და შეცდომა გოლის ფასად დაგვიჯდა. „ტვენტე“ უკეთესი გუნდი მეგონა ვფიქრობ, სპასუხო შეხვედრას მოვიგებთ. ენსხედეში უკეთესად უნდა ვითამაშოთ.

მატჩის მთავარი მსაჯი ᲔᲛᲘᲡᲢᲐᲢᲘ ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡᲘᲚᲘᲣ (საბერძნეთი). უპირველეს ყოვლისა, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადავიხადოთ ყველას, ვინც ავრერიგად ბევრი გაკვეთა მატჩისთვის და მსაჯებისაც. დიდი მადლობა გადაეცით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და სპორტის ხელმძღვანელობას. თამაშით კმაყოფილი ვარ. უნდა გითხრათ, რომ იშვიათად მინახავს ასეთი კორექტული შეხვედრა.

● მატჩი კორექტული ალბათ იმიტომ იყო, რომ მსაჯი იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡᲘᲚᲘᲣ. გმადლობთ კომპლიმენტისთვის, მაგრამ დინამოელებიც და სტუმრებიც ძალიან „სუფთად“ თამაშობდნენ და მეც სიამოვნებით ვასრულებდი ჩემს ფუნქციას. თბილისელმა მაყურებელმა კი ფეხბურთის ნიჭიერების ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა, რომ ალბათ თითოეულ მათგანს თავისუფლად შეუძლია ნებისმიერი ნატჩის მსაჯობა. რა კარგია, როცა მაყურებელს ფეხბურთი ასე ესმის!

● რას იტყვით თამაშის მონაწილეებზე და ანგარიშის შესახებ?

ᲞᲐᲞᲐᲕᲐᲡᲘᲚᲘᲣ. ანგარიში, ალბათ, სამართლიანია გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისა არიან. ტექნიკურ ოსტატობაშიც ვერ დავინახე განსხვავება. „დინამო“ მეორე ნახევარში უფრო კარგი იყო, ტემპსაც უმატა. ისე კი, შინ უფრო სწრაფად შეიძლება თამაში. ნოდიამ გამაოცა. უჭკვიანესი თავდამსხმელია. სიმართლე გითხრათ, ასეთი ფორვარდი საერთოდ ცოტაა. ვტკბებოდი მისი მახვილი და აზრიანი თამაშით. ჰოლანდიელთა შორის გამოირჩეოდა რ. კერკჰოფი (№ 14). თბილისელი მოთამაშეები ძალიან გვაინ ბერძნებს. ივიეე ქცევა აქვთ, საშრეთული ეშმაკობა ახასიათებთ. ჩემი თავი საბერძნეთში მეგონა. პროფესიით კალათბურთის მწვრთნელი ვარ, ვწვრთნი არმიის ნაკრებს, მაგრამ ფეხბურთის მსაჯიც გახლავართ და ეს ახალი ქალაქების ნახვის საშუალებას მაძლევს. ამ მხრივ თბილისში ყოფნა ჩემთვისაც და ჩემი კოლეგებისთვისაც ძალიან სასიამოვნო იყო. კიდევ ერთხელ გმადლობთ სტუმართმოყვარეობისთვის, იმ ნამდვილად სპორტული სულისთვის, რომელიც მოთამაშეებმა და მაყურებელმა გამოიჩინეს.

საუბარი ჩაიწერა
Ა. ᲠᲝᲜᲓᲔᲚᲐᲫᲔ.



სურათზე: თამაშის მომენტი.

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲒᲣᲨᲘᲜ...

მოსკოვში ადგილობრივი „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ მატჩში უმასპინძლეს ჰაგის ადო-ს. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც 55-ე წუთზე გაიტანა სპარტაკელმა ბულგაკოვმა. საპასუხო მატჩი 27 სექტემბერს გაიმართება ჰაგაში.

ᲮᲐᲚᲘᲩᲐᲯᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 20 ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲨᲘ ჩატარდა სოფლის სპორტსმენთა საზაფხულო საკავშირო თამაშების პროგრამით კათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე 20 კოლექტივი გამოვიდა. საქართველოს ღირსებას იცავდა ცხინვალის რაიონის თანარაშენის საბჭოთა მეურნეობის გუნდი (მწვრთნელი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ცხოვრებოვი).

უმჩატესი წონის მოჭიდაკეთა ფინალში სპორტის ოსტატი მ. ფლიეკი უზბეკეთის გუნდის წევრთან დამარცხდა და II ადგილს დასჯერდა. ასეთივე შედეგით დაამთავრეს ჭიდილი პირველ ქვეყნაშუალო წონაში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ჩარშანდელმა ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა რ. ვალიევმა და მძიმეწონოსანმა ვეტერანმა სპორტის ოსტატმა ლ. ბასიევმა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლებმა III სპრიზო ადგილი დაიკავეს. I ადგილზე გაიდგნენ რუსეთის ფედერაციის, ხოლო II — უზბეკეთის მოჭიდაკეები.

Ვ. ᲛᲔᲚᲥᲝᲤᲘ.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲞᲔᲓᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ „ᲑᲠᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ (ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ).

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲒᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲐᲗ ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲣᲡᲢᲘ, ᲛᲝᲣᲥᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲡᲖᲔᲐ. ᲛᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲛᲐᲓᲚᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲜᲘᲐᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲐᲓᲐᲪᲕᲐᲓ. ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲓᲘᲐ ᲒᲐᲮᲚᲔᲑᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲘ, ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲜᲝᲓᲘᲐ ᲨᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲓᲠᲘᲑᲚᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲒᲠᲜᲝᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ. ᲡᲬᲠᲔᲓᲘᲗ ᲔᲡ ᲓᲣᲜᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲬᲧᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲘ.

ᲮᲐᲚᲘᲩᲐᲯᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 20 ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲨᲘ ჩატარდა სოფლის სპორტსმენთა საზაფხულო საკავშირო თამაშების პროგრამით კათვალისწინებული პირად-გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე 20 კოლექტივი გამოვიდა. საქართველოს ღირსებას იცავდა ცხინვალის რაიონის თანარაშენის საბჭოთა მეურნეობის გუნდი (მწვრთნელი — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ცხოვრებოვი).

უმჩატესი წონის მოჭიდაკეთა ფინალში სპორტის ოსტატი მ. ფლიეკი უზბეკეთის გუნდის წევრთან დამარცხდა და II ადგილს დასჯერდა. ასეთივე შედეგით დაამთავრეს ჭიდილი პირველ ქვეყნაშუალო წონაში სოფლის სპორტსმენთა საკავშირო თამაშების ჩარშანდელმა ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა რ. ვალიევმა და მძიმეწონოსანმა ვეტერანმა სპორტის ოსტატმა ლ. ბასიევმა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლებმა III სპრიზო ადგილი დაიკავეს. I ადგილზე გაიდგნენ რუსეთის ფედერაციის, ხოლო II — უზბეკეთის მოჭიდაკეები.

Ვ. ᲛᲔᲚᲥᲝᲤᲘ.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲞᲔᲓᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ

ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ „ᲑᲠᲯᲒᲣᲤᲘᲡ“ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ (ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ).

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ. ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐᲒᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲐᲗ ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲝᲚᲘᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲣᲡᲢᲘ, ᲛᲝᲣᲥᲜᲔᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲗᲐ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲛᲪᲕᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲛᲣᲡᲖᲔᲐ. ᲛᲔᲙᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲣᲛᲐᲓᲚᲝᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ.

ᲐᲡᲔᲕᲔ ᲣᲜᲘᲐᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲜᲐᲮᲕᲔᲠᲐᲓᲐᲪᲕᲐᲓ. ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲘᲧᲝ ᲠᲝᲓᲘᲐ ᲒᲐᲮᲚᲔᲑᲐᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲐ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲘᲡ ᲓᲐᲣᲦᲚᲐᲕᲘ, ᲛᲝᲜᲓᲝᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲜᲝᲓᲘᲐ ᲨᲣᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲛᲐᲢᲩᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲓᲠᲘᲑᲚᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲐ.

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲒᲠᲜᲝᲑᲝᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ. ᲡᲬᲠᲔᲓᲘᲗ ᲔᲡ ᲓᲣᲜᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲮᲚᲓᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲛᲐᲗᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲬᲧᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲘᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲗᲘ.



ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ.

Ლ. ᲑᲔᲚᲘᲐᲔᲕᲘᲡ (ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ) ᲤᲝᲢᲝ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს ქოჯაე ★ ჩემპიონატებში

რეპორტაჟი ციფრებში

რუსეთის ფედერაციაში 106488 ფიზკულტურის კოლექტივი და 24814276 ფიზკულტურელია.

1971 წელს რესპუბლიკაში მომზადდა 7814276 თანრიგოსანი სპორტსმენი, მათგან 32118 პირველთანრიგოსანი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი. ამავე დროში მომზადებულია 3232 სპორტის ოსტატი.

სხვადასხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 17073585 კაცმა. მათგან საწარმოო ტანვარჯიშში ჩაბმულია 9651397 კაცი, ტურიზმში — 3118937, საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფებში — 1847368 კაცი.

1971 წელს რუსეთის სპორტსმენებმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მოიპოვეს 209 პირველი, 100 მეორე და 80 მესამე ადგილი, დაამყარეს 60 მსოფლიო და 151 საკავშირო რეკორდი.

იმ სპორტსმენთა შორის, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატებში ჩასათვლელი ქულები მოგვცეს, რუსეთის ფედერაციის 25 ქალაქის წარმომადგენლები არიან. ევროპის ჩემპიონატებში ჩათვლა მოგვცა რსფსრ-ს 83 სპორტსმენმა. განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით შახტის, სვერდლოვსკის, პერმის, პერეოურალსკის, ომსკის, ბლაგოვეშჩენსკის, ვლადიმირის, ვორონეჟის წარმომადგენლებს.

1971 წელს რუსეთის ფედერაციაში მომზადდა 175 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, მათგან 100 — ოლქებში, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში, 57 — მოსკოვში, 18 — ლენინგრადში.

1971 წელს რუსეთის ფედერაციაში მუშაობდა 18 უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლა, 77 ახალგაზრდობის სპორტული სკოლა 21000 მოსწავლით. ამ სკოლებში ერთი წლის მანძილზე მომზადებულია 81 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და 847 სპორტის ოსტატი. რსფსრ-სა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში ამ სასწავლებლების აღსაზრდელი 1568 სპორტსმენი შედიოდა.

რესპუბლიკაში მუშაობს 2047 ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა 668777 მოსწავლით. 1971 წლის მანძილზე ამ სკოლებში მომზადდა 8 საერთაშორისო კლასის ოსტატი, 345 სპორტის ოსტატი, 1971 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 12277 პირველთანრიგოსანი და მასობრივი თანრიგების 171837 სპორტსმენი.

1971 წელს რესპუბლიკაში მძლეოსნობაში ვარჯიშობდა 3315875 კაცი, ფრენბურთში — 2845023, კალათბურთში—1918823, ფეხბურთში — 2073255.

რესპუბლიკას აქვს 1677 სტადიონი, 50477 საფეხბურთო მინდორი, 53477 კალათბურთის მოედანი, 129852 ფრენბურთის მოედანი, 27855 სპორტდარბაზი, 11420 საციგურაო ჰოკეისთვის და სხვა სპორტული ნაგებობანი.

მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში რსფსრ-ს სპორტსმენებმა (მოსკოვისა და ლენინგრადის ჩათვლით) 33 ოქროს, 22 ვერცხლისა და 28 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში 367,5 ქულა მოაგროვეს. სულ სსრ კავშირის ნაკრებ გუნდს 591,5 ქულა ჰქონდა.

საპოროს XI ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. ქვეყნის ნაკრების 82 წევრიდან 30 რუსეთის 16 ქალაქის (მოსკოვი, ლენინგრადი, ნოვოსიბირსკი, გორკი, სვერდლოვსკი, კუმეროვო, ივანოვო, პერმი, ომსკი, ჩიტა, კიროვო-ჩეპეცკი, იუჟნოესკი და სხვ.) წარმომადგენელი იყო. მათ დაისაკუთრეს 16 მედალი, აქედან, 8 ოქროსი, 5 ვერცხლისა, 3 ბრინჯაოსი.

რუსეთის კლუბები და ლიგები 1916 წლის დამდეგისთვის 50000-მდე კაცს ითვლიდნენ. მთელს ამ უზარმაზარ ქვეყანაში რევოლუციამდე არც ერთი კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა არ იყო. მეოცე რუსეთის დედაქალაქ პეტერბურგში 15 პრიმიტიული სპორტული მოედანი არსებობდა, მოსკოვში კი ესეც არა. ბელორუსიაში, თურქესტანში, რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთ მხარეებში სპორტის ამბავი უფრმოკვრით თუ ჰქონდათ გაგონილი.

1913 წელს რუსეთის საფეხბურთო კავშირი 155 სპორტულ ორგანიზაციასა და 400-მდე მოთამაშეს ითვლიდა. რევოლუციამდელ რუსეთში ფეხბურთელთა ჩემპიონატებში მხოლოდ 10 გუნდი მონაწილეობდა.

1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებში რუსეთის გუნდს არც ერთი ოქროს მედალი არ მოუპოვებია, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი XV-XVI ადგილები გაიყო ავსტრიელებთან. სულ შეჯიბრებაში 18 გუნდი მონაწილეობდა.

მეფის რუსეთში სპორტული ორგანიზაციები და ლიგები პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო მშრომელთა ფართო ფენებისთვის. თუ ვინმე მუშათა წრიდან შეაღწევდა სპორტში, ეს ორგანიზაციათა ხელმძღვანელების დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. რუსეთის პირველი ჩემპიონი სათხილამურო სპორტში ვ. ბიჩკოვი მეეზოვე იყო. უურნალმა „რუსკი სპორტმა“ მოითხოვა მისთვის აეკრძალათ შეჯიბრებებში მონაწილეობა, როგორც ფიზიკურად მომუშავისთვის.

ი. ცადიკოვიჩი.

მასალები დაწერილია სპეციალურად „ლელოსთვის“

სპორტული რუსეთი

უკვე ნახევარი საუკუნეა საბჭოთა რესპუბლიკების ერთიანი ოჯახი დამაჯერებლად მიდის წინ, დიადი მიზნისკენ — კომუნიზმისკენ.

ისევე როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგმა და მმართველებამ, რუსეთის ფედერაციის ფიზკულტურულმა მოძრაობამაც გარკვეულ წარმატებას მიაღწია. როცა რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის დადებითს შედეგებზე ვლაპარაკობთ, განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაჭრაში.

ქალაქად და სოფლადაც მრავლდება რიცხვი სამრეწველო კოლექტივებისა, სადაც ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხები შრომისნაყოფიერების ამაღლებაში, დაავადებითი პროფილაქტიკისა და მშრომელთა აქტიური დასვენებისთვის სათანადო პირობების შექმნაში უდიდეს როლს ასრულებს.

ფიზკულტურისა და სპორტის მრავალფეროვანი საშუალებები და ფორმები სულ უფრო აქტიურად გამოიყენება კომუნისტური მშენებლობის მთავარი ამოცანების გადაჭრისთვის, პირველ ყოვლისა, ახალი ადამიანის აღზრდისთვის. ისინი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენენ საწარმოების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებზე, საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიურ ეფექტურობაზე.

ამას თვალნათლივ ამტკიცებს გამოცდილება ისეთი ფართოდ ცნობილი კოლექტივებისა, როგორიცაა გორკის საავტომობილო გიგანტი, ურალის მანქანათმშენებელი ქარხანა და ბევრი სხვა.

სპორტი და წარმოების მაღალი კულტურა ერთმანეთისგან განუყოფელია. ეს კავშირი დღითიდღე მტკიცდება და აუცილებელი ხდება. მთელ რიგ ქარხნებსა და ფაბრიკებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, რომ ის, ვინც ფიზკულტურასა და სპორტს ეფერობრობს, ვინც რეგულარულად ვარჯიშობს, უკეთ ართმევს თავს საწარმოო დავალებებს, მუდამ ხსნედ და ჯანმრთელად გამოიყურება, ავადმყოფობის გამო სამსახურს არ აცდენს.

აღსანიშნავია, რომ ბევრი ფიზკულტურელი კომუნისტური შრომისთვის გაწლილი მოძრაობის მონაწილეა. „ურალმაშის“ 1000 მუშიდან, რომელთაც „კომუნისტური შრომის დამკვრეელის“ სატიტული ეწოდება აქვთ მინიჭებული, 800-ზე მეტი ფიზკულტურელია. ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელი 50-მდე სპორტსმენი შრომითი გმირობისთვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა.

ფიზიკური კულტურა და სპორტი დიდად მნიშვნელოვანია სოფლის ცხოვრებაშიც. სტავროპოლის, დონის, ყუბანის, ალტაის, მოსკოვის, სარატოვის, გორკისა და სხვა ოლქების მეურნეობებში ფიზკულტურა და სპორტი ეგზემპლარად ინერგება სოფლის წარმოების მუშაკთა ყოფა-ცხოვრებაში. გაშლილია სპორტული მშენებლობა, ძიძინენ სპორტულ ინვენტარსა და მოწყობილობას, სასოფლო დღესასწაულებზე აწყობენ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

რუსეთის ფედერაციაში ფიზკულტურული მოძრაობა სათავეს ქარხანა-ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სკოლებისა და სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურის კოლექტივებში იღებს და შემდეგ მძლავრ ნაკადად იქცევა.

ფიზიკურად სრულფასოვანი თაობის მომზადებაში გადამწყვეტი როლი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. ქალაქისა და სოფლის სკოლების ყველა კლასში ერთის მაგიერ ორი ფიზკულტურის გაკვეთილის შემოღებამ ხელი შეუწყო ბავშვების ფიზიკურ წრთობას.

უფრო ფართოდ გაიშალა მასობრივი სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში. შექმნილია სექციები სპორტის 38 სახეობაში, სადაც 668 ათასზე მეტი ბავშვი მეცადინეობს.

ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ზლატოუსტში, პერმსა და სხვა ქალაქებში დაინერგა ბავშვებთან უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში მუშაობის საინტერესო ფორმები.

ბავშვებში უაღრესად პოპულარულია კლუბები მათი ინტერესების მიხედვით, მასობრივი ტურნირები „ოქროს ბაიბისა“ და „ტყავის ბურთის“ პრიზებზე, საინტერესო შეჯიბრება — „ვერცხლის ციგურები“.

მთელი ფიზკულტურული მოძრაობის წარმატება ბევრადაა დამოკიდებული სპორტსმენთა წვრთნის პირობებსა და ხარისხზე. ამ მხრივ რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა.

გასულ ხუთწლედში განხორციელდა ბევრი ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ფიზკულტურული მოძრაობის სპეციალისტთა კადრებით უზრუნველყოფად, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაუმჯობესებლად. რესპუბლიკაში ექვსი უმაღლესი ფიზკულტურული სასწავლებელია, ამასთან ორი — ხაბაროვსკსა და კრასნოდარში დიდი ხანი არ არის, რაც გაიხსნა. გვაქვს ინსტიტუტების სამი ფილიალი და ხუთი ტექნიკუმი. პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებთან და პედსასწავლებლებთან გახსნილია ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტები. ბოლო ხუთი წლის მანძილზე სასწავლებლებმა რესპუბლიკას უმაღლესი და საშუალო ფიზკულტურული განათლების მქონე 15000 სპეციალისტი მისცეს.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად რუსეთის ფედერაციაში ყოველწლიურად ფართოვდება და მტკიცდება სპორტის მატერიალური ბაზა.

რუსეთის ფედერაციაში გაჩნდა მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ახალი ფორმები. ფართოდ გავრცელდა ჯანმრთელობის ჯგუფები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები, ჯანმრთელობის მატარებლები, მეთევზისა და მონადირის სახლები, მშრომელთა დასვენების ზონები. სხვადასხვა სახის გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში 17 მილიონზე მეტი მშრომელია ჩაბმული.

მასობრივი ფიზკულტურის განვითარებასა და სახალხო სპორტის დონის ამაღლებას მძლავრი სტიმული მისცა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი ფიზკულტურული კომპლექსის შემოღებამ. ეს კომპლექსი რესპუბლიკის მილიონობით მშრომელმა და მოსწავლემ თავის მშობლიურ და ღვიძლ საქმედ მიიჩნია.

მასობრივი სპორტი მაღალი კლასის ოსტატთა მომზადების საძირკველია. ჩვენ ვამაყობთ, რომ რუსეთის შვილები ღირსეულად იცავენ საბჭოთა სპორტის სახელს დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში. მათს რაზმს მეთაურობენ მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ესაა დიდი მოქალაქეობრივი შეგნების, სულით ძლიერი, მამაცი, ნაწრთობი, თავგანწირული, შრომისა და გმირობისთვის მუდამ წსად მყოფი ხალხი.

საბჭოთა სპორტსმენებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს საპოროს XI ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. მათ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავეს, 120 ქულა მოაგროვეს და მოიპოვეს 16 მედალი, რომელთაგან 8 ოქროსი იყო, 5 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოსი.

ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციის სპორტსმენებმა. საპოროს გმირები იყვნენ: მოსკოველი ვ. ვედენინი, უდმურტეთის წარგზავნილი გ. კულაკოვა, გორკელი ა. ოლიუნინა, ჩვენი სახელგანთქმული ჰოკეისტები, ფიგურისტები ა. ულანოვი, ი. როდნინა, ს. ჩეტვერუხინი, მოციგურავეები — ომსკელი ვ. კრასნოვა, კოლომნელი ვ. მურატოვი და სხვ.

ჩვენ ვიცით, რომ, ამ წარმატების მიუხედავად, ბევრი საკითხი ჯერ კიდევ გადასაჭრელი გვაქვს საკავშირო სარბიელზე მოპოვებულ შედეგებს მხოლოდ ნსოფლიო სტანდარტებით უნდა მივდგეთ. მხოლოდ ამ გზით მივაღწევთ სწორ ტემპსა და კურსს მუშაობაში, მხოლოდ ასე შევიტანთ ჩვენი რესპუბლიკისთვის ღირსეულ წვლილს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

ვ. ალიოხინი,
რსფსრ-ს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.



სურათზე: ევროპის, მსოფლიოსა და XX ოლიმპიური თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი, გროზნოელი ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშჩევა.

ბეგობროგის გზით

საქართველოს საფეიერო და მუხუკი ნრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის დარგობრივი საბჭოს აქტივისტები ერთ კვირაზე მეტხანს იყვნენ ივანოვოს ოლქში, რათა სსრ კავშირის საფეიერო მრეწველობის ცენტრის ფიზკულტურის კოლექტივების გამოცდილებას გასცნობოდნენ. ჯგუფის წევრებმა მონათესავე საწარმოთა წარმომადგენელ მასპინძლებთან ერთად ერთს თეორიული კონფერენციები, დაეხმარნენ მათ მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებელი შეჯიბრებების გამართვაში, ტალისწაველეს გამაჯანსაღებელი მუშაობისა და საწარმოო ტანვარჯიშის მაღალ დონეზე დაყენების გამოცდილება.

ივანოვოს ლენინის ორდენოსანი კამოლური კონბინატი, რომელშიც 8 ათასამდე მუშა-მოსამსახურეა, მოწინავე საწარმოა. ფიზიკულტურული კოლექტივიც მოწინავეა — თავი ბევრ შეჯიბრებაში უსახელია. მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებებს აქ მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში მიაღწიეს.

ეოლგის ნაპირას, ხნირ ტყეში ჩამჯდარა ფეიერების „მეთევზეთა სახლი“. ქალაქ პლესიდან აქ მოსვლა ძალიან ნარით კოლექტივის ძალიანი ნავებითა და კატარღებით შეიძლება. ზამთრით იგი სათხილამურო ბაზად იქცევა ხოლმე, რომელსაც გასაქირავებლად ნუდამ აქვს 400 წყვილი თხილამური.

სტუმრები იყვნენ, აგრეთვე, ცნობილ ფურმანოვის სართავ-საქსოვ ფაბრიკაში, რომლის კოლექტივი შექმნის 100 წლისთავზე „საკატო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოდა. ამ ფაბრიკის სპორტსმენებს სახელოვანი ტრადიციები აქვთ, მოიხილამაურეები ი ოლქის ჩემპიონები არიან.

მეგობრული კავშირი ივანოვოს ოლქისა და საქართველოს მსუბუქი და ს.ფეიერო მრეწველობის პროფკავშირის კომიტეტის ფიზკულტურის დარგობრივ საბჭოებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადებით კიდევ უფრო განმტკიცდა. ხელშეკრულება მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებას, მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობის გაფართოებას, ქალთა სპორტის განვითარებას, ბაზების ქსელის მატებასა და ბევრ სხვა ღონისძიებას ითვალისწინებს.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი გაცვლეს ივანოვოს ლენინის ორდენოსანი ბამბეულეული კომბინატისა და თბილისის „საკატო ნიშნის“ ორდენოსანი მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“, ივანოვოს ლენინის ორდენოსანი სამელანჟო კომბინატისა და თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, როდნიკოვის ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კომბინატ „ბოლშევიკისა“ და თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა „ისნის“ კოლექტივებმა.

თბილისელი სტუმრები დიდებული შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ კოლექტივებში, რომ თანამოსაქმეებს ივანოვოს ოლქში ნანახი და განცდილი გაუზიარონ, რათა კოლექტივებმა მეტი ენერგიით იმუშაონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისთვის.

ბ. კოვალიოვი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ივანოვო — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბეჭდ ნაკეთი

არხისმჭრელი... სპორტულ მოედანზე

თემქ-ის დასახლების მე-11 მიკრორაიონის პირველი კვარტალი... აქ ოცი მაღალი და ნათელი სახლის კეთილმოწყობილ ბინებში ცხოვრობს ელმავალმშენებელი ქარხნის 2500-მდე მუშა-მოსამსახურე. ჰაერი სუფთაა — იგრძნობა თბილისის ზღვის სიახლოვე. „ჩვენ აგარაკზე ვართ", ამბობენ დასახლების მკვიდრნი. ერთი სიტყვით, აქ ცხოვრება საამოა.

მაგრამ სახლებში თუ ცხოვრების ყველა პირობაა შექმნილი, ამას ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე ვერ ვიტყვით — მშენებლებს „დავიწყდათ" წესრიგში მისი მოყვანა: არც ერთი სპორტული მოედანი, ბავშვებისთვის არც ერთი სათამაშო კუთხე არ მოუწყვიათ. და ეს მაშინ, როცა არსებობს ბევრი დადგენილება: არც ერთი საცხოვრებელი სახლი მწყობრში არ უნდა ჩადგეს მასთან სპორტული ნაგებობის აუშენებლად.

მშენებლების „შეცდომის" გამოსწორება გადაწყვიტეს №№ 14, 15, 16, 16-ა და 16-ბ კორპუსების მობინადრეებმა. დიდი ჯაფა გასწიეს სპორტული მოედნის ასაგებად ე. ნოდიამ, დ. ოსიპოვმა, ი. მაჩაიძემ, მ. კოხრეიძემ, ე. კუბლაშვილმა, ვ. ბურჯიჭელმა, გ. ოშიაძემ, რ. ჩალაბოვმა, ზ. ონოფრიშვილმა, დ. აბუაშვილმა, ნ. მაისაიამ და ბევრმა სხვამ. მათ მოასწორეს მიწა-პატარა ზომის ფეხბურთის მოედნისთვის, დადგეს ძელები, გარშემო კი ხეები და ბუჩქები დარგეს.

ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აქ დილიდან საღამომდე გაისმოდა პატარების წკრიალა ხმა, სხვადასხვა შეჯიბრება ეწყობოდა. სპორტული მოედნით სარგებლობდნენ აგრეთვე ახლოშლებარე 48-ე და 148-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები, მეზობელი სახლების მცხოვრებნი.

და აი, ამას წინათ სპორტულ მოედანზე გამოჩნდა... არხისმჭრელი. მთელი მოედანი ღრმა სანგარმა გადასერა.

საკითხავია: რატომ მაინცდამაინც ბავშვთა სპორტულ მოედანს დაადგა თვალი „მეტრომშენმა" საცხოვრებელი სახლის ასაგებად? ევერდით ხომ უამრავი თავისუფალი ადგილია?!

ლენინის რაიონმასკომში გვითხრეს, რომ ამ სახლის მშენებლობის გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო აღმასკომმა დედაქალაქის მთავარი არქიტექტორის თანხმობით. სახლი განკუთვნილია წყალდიდობით დაზარალებული ოჯახებისთვის და ყოველგვარი ლაპარაკი ამ თემაზე ზედმეტიაო.

რა თქმა უნდა, დაზარალებულნი პირველ ყოვლისა უნდა იყვნენ დაკმაყოფილებული ბინით, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ამ პრობლემის უფრო გააზრებულად გადაჭრა ისე, რომ კვარტალის 500-ზე მეტი ბავშვის ინტერესი არ შელახულიყო? რატომ უნდა გაუქმდეს კვარტალში ერთადერთი სპორტული მოედანი?

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა მშენებლობის საკითხების დაუფიქრებელი გადაწყვეტის გამო ბავშვთა ინტერესები ილახება.

სხვათა შორის, სახლის მშენებლობა დაიწყო უსაფრთხოების ტექნიკის ელემენტარული ნორმების დარღვევით: სამშენებლო ზოლი შემოუკავებელია, გადაკეტილია სკოლისა და საბავშვო ბაღისკენ მიმავალი სახანძრო გზა და ა. შ. ამას უბედური შემთხვევაც მოჰყვა — სანგარში ბავშვი ჩავარდა და ხელი მოიტეხა.

უსაფრთხოების ტექნიკის ნორმების დარღვევისთვის მშენებლები აგებენ პასუხს. მაგრამ ვინ უპასუხებს შეკითხვას: სად ითამაშოს, ივარჯიშოს, იასპარეზოს 500-მდე ბავშვმა?

ეს შეკითხვა დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს, მით უმეტეს, რომ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა ამას წინათ განიხილა ელმავალმშენებელთა დასახლების ზოგიერთი კვარტალის კეთილმოწყობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ სამშენებლო ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ხახლების ტერიტორიის კეთილმოწყობას, სერიოზულად არღვევენ პროექტებს, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებს. ამაში ბრალი მიუძღვის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს, რომელიც ისე აბარებს საცხოვრებელ სახლებს, რომ მათს გარშემო ტერიტორიის კეთილმოწყობაზე არ ზრუნავს. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა დაავალა მთავართბილმშენის № 14 და № 15 ტრესტების უფროსებსა და პარტიულ ხელმძღვანელებს ერთი თვის ვადაში თემქ-ის მე-8 და მე-11 მიკრორაიონებიდან გაზიდონ ნარჩენი საშენი მასალა, ააგონ ბავშვთა მოედნები და სხვ.

მე-11 მიკრორაიონის პირველი კვარტალის მცხოვრებლებს იმედი აქვთ, რომ ბავშვებისთვის სპორტული მოედანიც გაშენდება, თუნდაც დანგრეულის ნაცვლად.

ბ. ქვათაძე.

• • •

სურათზე: აი, როგორ გამოიყურება თემქ-ის მე-11 მიკრორაიონის პირველ კვარტალში მდებარე სპორტული მოედანი.



■ ზურგშეკეცილნი
■ სოფელსაც აქვს თავისი სამდურავი
■ 15 სოფელი უმოედნოდ
■ უფროსებო, ნუ ლუმხართ, ანუ ეს ყველას საქმეა!

თანამედროვეობის ყველა სიკეთით დაამშვენა გლეხკაცის გამრჯე მარჯვენამ საქართველოს სოფლები. მაგალითისთვის ნატანების, ლაითურის, შემოქმედის, შრომის (მახარაძის რაიონი), ახალსოფლის (ზუგდიდის რაიონი), ვარიანის (გორის რაიონი), ვარკეთილის (გარდაბნის რაიონი) და ვაზისუბნის (გურჯაანის რაიონი) დასახელებაც კმარა. ამაგდარი ადამიანების მხარდამხარ სოფლის სასიკეთოდ ძალ-ღონის დაუშურებლად შრომობს ახალგაზრდობა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი წვლილი სპორტული ბაზების მოწყობასა და მოვლა-პატრონობაში.

ყოველივე ეს, სამწუხაროდ, ერთი მტკივნეული საკითხის პრობლემად დაგვჭირდა. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, პირდაპირ ვიტყვით: ვისაც ამ ბოლო დროს სოფლის ახალგაზრდობის პრობლემებზე რაიმე უთქვამს ან დუწერია, ამ საქმის გამოკეთების ერთ-ერთ მთავარ პირობად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის უკეთ მოწყობა მიაჩნია. ფაქტი, მოგეხსენებათ, ჯიუტია — ბევრგან ამ საქმეს ჯერ კიდევ არ ეკიდებიან გულისყურით.

ბოლოს და ბოლოს ვინაა დამნაშავე, თუ სოფელს მარტივი სპორტული მოედანი მაინც არ გააჩნია?

ახალგაზრდებისგან რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ავტორთა ერთი ჯგუფი საკუთარი ძალით ითხოვს საკითხის მოგვარებას, ოღონდ უფროსების მხარდაჭერაც სჭირდება. მეორენი გარჯას თაკილობენ, მზაზეზარეულს ელიან.

აი, ერთ-ერთი წერილი, რომელიც „ლელომ" მიიღო კასპის რაიონის სოფელ ქვემო ხანდაკიდან. გ. მამულაშვილი და მისი თანასოფლელები ამაღელვებელი ტონით (ფაქტების დამახინჯებასაც არ მორიდებიან) დახმარებას გვაჩქარებდნენ. რაიონში ჩვენც დაუყოვნებლივ ჩავედით. მივედით კომკავშირის რაიონულ კომიტეტში. ნამულაშვილსა და მის მეგობრებს აქ კარგად იცნობენ. ცუდი არაფერი ეთქმით. ოღონდ ეგაა, სოფელში მათზე სამდურავს გვერდს ვერ უვლიან და პირდაპირ გვეუბნებიან: სოფელი ენერგიული, გამრჯე ადამიანებითაა ძლიერი. ახალგაზრდები კი, წამოიზრდებიან თუ არა, თვალი ქალაქისკენ უჭირავთ.

ხსენებული წერილის ავტორებიც აქ დავუკაცდნენ, მაგრამ, როცა სოფლისთვის მარჯვენის შეშველების უნარი შესწევდათ და სიკეთისთვის სიკეთით უნდა ეპასუხათ, ქალაქისკენ იბრუნეს პირი.

გართობა-დასვენების საქმე მართლაც მოსაგვარებელია, მაგრამ ვინ იფიქრეს, რომ მთავარი სიტყვა აქ ახალგაზრდებმაც არ უნდა თქვან? ქვემოხანდაკელი ახალგაზრდები თავისუფალ დროს სოფელში ატარებენ (თურმე ამიტომ ითხოვდნენ დაუინებით, მაინცდამაინც შაბათ-კვირას გვეწვიეთო), რიგიანი გართობა-დასვენება კი უსპორტოდ ვერც წარმოუდგენიათ. გვწერდნენ. კეთილმოწყობილი მოედნები, სპორტული ფორმა და ინვენტარი გვაკლიაო.

რედაქციაში წერილის წაკითხვისას ამ მოთხოვნის უსაფუძვლობაში წუთითაც არ დავეჭვებულვართ, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება ნათელი გახდა თუ არა, თავისთავად დაიბადა კითხვა — ჰქონდათ ახალგაზრდებს ასეთი მოთხოვნის მორალური უფლება?

ადგილობრივ სატყეო-სანერგე მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთაგან მხოლოდ ხუთია 30 წლამდე ახალგაზრდა. სახალხო დოვლათს ძირითადად საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები ქმნიან, ქალაქად „გაქცეული" ახალგაზრდები კი განგაშს სტეხენ: ამ ადამიანებმა იტვირთონ ფეხბურთის მინდვრის კეთილმოწყობა, სპორტული ფორმა და ინვენტარიც მათი ნაამაგარი სახსრებიდან შეგვიძინეთო. უფრო მეტიც, ეს ახალგაზრდები მეურნეობის მუშების ხელით დამზადებული ფეხბურთის კარის ძელებისთვის ადგილის მისაჩნევადაც არ ნებეწუხებულან.

მეურნეობის დირექტორმა შ. ნახუცრიშვილმა ჩვენი თანდასწრებით რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებთან დაადანაშაულა ბიჭები ბუნგრილობაში. ვფიქრობთ, ამ საუბარში დირექტორმა სამართლიანად წამოაყენა ახალგაზრდებისთვის დასაშუშავებელი ნაკვეთის გამოყოფის საკითხი. დარწმუნებული ვართ, თუ ეს ახალგაზრდები ყველაფერს რიგიანად აწონ-დაწონიან, ვალში არც სოფელი და არც მეურნეობის დირექცია დარჩება მათს წინაშე.

ბევრი საყვედური და გული ტკივილი იყო გამოთქმული ჭიათურიდან მიღებულ წერილში, რომელიც სპორტის ოსტატობის კანდიდატმა გ. ბარჯაძემ გამოგვიგზავნა. წერილში მოყვანილი ფაქტები ადგილზე შევისწავლეთ.

მარგანტრესტის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა ამ ხუთი წლის წინ შეიქმნა, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ შრომითს წარმატებებში ფიზკულტურის კოლექტივი თვალსაჩინო ძალად გამოეყენებინა, დირექციამ იმთავითვე შეიქცია ზურგი ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობისა. სეზონურად აქ 2500, მუდმივად კი 600-ზე მეტი კაცი შრომობს. როგორც ხედავთ, ეს კონტინგენტი სრულიად საკმარისია ფიზკულტურის მეთოდისტის შტატისთვის, მაგრამ მეურნეობის ხელმძღვანელებს თავი არც შეუწუხებიათ. ერთ დროს აქ პარტიისა და მთავრობის დადგენილების საპასუხოდ მარტივი სპორტული მოედნების მოწყობა ივალდებულეს, მაგრამ... მეურნეობაში შემავალი 15 სოფლიდან დღესდღეობით არც ერთს არა აქვს მოედანი. შუქრუთში, ნიგოზეთში და უსახელოში დასაწყისშივე მიატოვეს საქმე. ეს მაშინ, როცა მეურნეობაში ახალგაზრდობის მთელი არმიაა. სჩვა რომ არაფერი, კომკავშირული ორგანიზაცია 211 წევრს აერთიანებს. საჭიროა ერთი შემართება და...

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი ფიზკულტურული კომპლექსის ჩაბარება მნიშვნელოვანი საქმე რომ ყოფილა, მეურნეობაში პირველად ჩვენგან შეიტყვეს. ეს მართლაც გასაოცარი ამბავია!

ამ დღეებში გორის რაიონის სოფელ საქაშეთში და თბილისის მესამე მასივის დასახლებაში ვიყავით. ახალგაზრდებმა სიხარულით მომიწვიეს საკუთარი ძალით მოწყობილ საფეხბურთო მინდორზე. გაძნელებიათ საქმე უფროსების დაუხმარებლად, რის ვაივაგლახით დაუქირავებიათ ბულდოზერი, ძელები უშოვნიათ...

ისე კი ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ახალგაზრდა თაობის ფიზიკური აღზრდა სახელმწიფოებრივი საქმეა და მისი უგულებელყოფა არავის ეპატიება.

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ტექნიკუმელი ენთუზიასტები

რუსთავის ქიმიურ-მეტალურგიულ ტექნიკუმში მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა. სპორტსმენთა საქმიანობას უნარიანად წარმართავს დირექტორის მოადგილე ფიზიკური აღზრდის დარგში ნ. კახიძე. ტექნიკუმში ნაყოფიერად მუშაობენ ფრენბურთის (მწვრთნელი ჭ. ბერიძე), კალათბურთის (ვ. ჯანელიიე), მძლეოსნობისა (ა. ხალიზოვი) და ველოსპორტის (ა. ჩერნოუსოვი) სექციები.

გადაჭარბებით სრულდება თანრიგოსანთა მომზადების გეგმა. ქართულ ჭიდაობაში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა ლითონის ჭრით დამუშავების 42-ე ჯგუფის მოსწავლე რ. მჭედლიძემ, ხოლო სამბოში ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი გ. შიუკაშვილმა და მ. გაბინაშვილმა შეასრულეს. 9 პირველთანრიგოსნის ნაცვლად წლეულს ტექნიკუმში უკვე მომზადდა 11, ხოლო II და III თანრიგების ნორმატივები 160 მოსწავლემ შეასრულა. მომზადდა ეგრეთვე 14 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 18 მსაჯი.

რუსთაველებმა წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ტექნიკუმების VII სპარტაკიადაში. ჩემპიონობა მოიხვეჭეს ფრენბურთელმა ვაჟებმა, III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მძლეოსნები და მოცურავეები, აგრეთვე, ჭაბუკი ტენმოვარჯიშეები. მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს სამბისტებმა რ. მჭედლიძემ და მ. გაბინაშვილმა, ქართული ჭიდაობის ტრფიალმა ს. დოლიაშვილმა, მძლეოსნებმა დ. მეტრეველმა, ნ. ჯავახაძემ, ტ. ჩიუკინამ და სხვ.

რესპუბლიკის 21 ტექნიკუმს შორის საერთო ჩათვლაში ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმის წარმომადგენლები III საპრიზო ადგილზე გავიდნენ.

ტექნიკუმელები ახლა მშდ კომპლექსის ნორმატივებს აბარებენ. ბევრმა მოსწავლემ ოქროსა და ვერცხლის ნიშნების მიღებაზე გააკეთა განაცხადი. ესენი არიან გ. ბიკაშვილი, ე. ფრანკელი, ვ. პიკალო და სხვ.

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

სპარტაკიადის ფინიში

დაბა საბერიოს სპორტულ ბაზებზე დამთავრდა ენგურჰესის შენებელთა VIII სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ფეხბურთში I ადგილი დაიკავა საშენ მასალათა კომბინატის გუდმა.

კალათბურთში ვაჟთა შორის გაიმარჯვეს ძალოვანი კვანძის სამმართველოს წარმომადგენლებმა, ქალებში კი უყლეერესი იყო ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს კოლექტივი. ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს ფიზკულტურელებმა წარმატებას მიაღწიეს კიდევ ექვს სახეობაში: ფრენბურთში (ქალები, ვაჟები), ძალოსნობაში, ცურვაში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ველოსპორტში.

მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდათ გვირაბმშენის სამმართველოს წარმომადგენლებს.

მოშაშეთა ტურნირში წარმატებას მიაღწია მექანიზებულ სამუშაოთა სამმართველოს ნაკრებმა.

ხელბურთში, ქართულ და თაკასუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ ძალოვანი კვანძის სპორტსმენები.

კომპლექსურ ჩათვლაში გუნდური I ადგილი ჰიდრომექანიზაციის სამმართველოს ნაკრებმა დაიკავა. წინა სპარტაკიადების მრავალგზის ჩემპიონები — ძალოვანი კვანძის სპორტსმენები II ადგილით დაკმაყოფილდნენ. III ადგილზეა კაბალმშენის სამმართველოს გუდი.

ჯ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მსოფლიოს პრესის კომენტარები

ბერლინი, 12 სექტემბერი. მიუნხენის ხარბიელზე სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა გამოსვლა ყველაზე წარმატებული იყო ოლიმპიურ თამაშებში მათი მონაწილეობის მთელს ისტორიაში, — ასეთია გდრ-ის პრესაში გამოქვეყნებული სტატიებისა და კომენტარების დედააზრი. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს, რომ სოციალისტური სახელმწიფოების სპორტსმენები მონაწილეობა ათ პროცენტს შეადგენდნენ, მაგრამ ოლიმპიური медლების 47,5 პროცენტი დაიმაგურეს.

„მეხიკოს ოლიმპიადასთან შედარებით, განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოციალისტური ქვეყნების პოზიციის გამაგრება მსოფლიო სპორტში. ეს პირველ ყოვლისა ეხება სსრ კავშირს, რომელიც წლეულს თავისი შექმნის 50 წლისთავს ზეიმობს“, — წერს გდრ-ის ცენტრალური სპორტული გაზეთი „დოიჩეს სპორტ-ბლატ“.

კუბანა, 12 სექტემბერი. მიუნხენის თამაშებში სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა წარმატებას კუბის გაზეთმა „ხუვენტუდ რებელდეს“ „სოციალიზმის სპორტული გამარჯვება“ უწოდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ საბჭოთა სპორტის ბრწყინვალე ტრიუმფმა გაქარწყლა მათი დასავლეთის სახელმწიფოების ვითომ არსებულ უპირატესობაზე.

სტოკჰოლმი, 12 სექტემბერი. „მექსიკის ოლიმპიადასთან შედარებით, მიუნხენმა საბჭოთა სპორტს უდიდესი გამარჯვება მოუტანა“, — განაცხადა შვედეთის სპორტული დელეგაციის ექთა-ერთმა ხელმძღვანელმა ს. ბარგანმა.

შვედეთის ტელევიზიის კომენტატორებმა ყველაზე გამოჩენილ სპორტსმენებად დაასახელეს საბჭოთა ტანმოვარჯეშე ოლია კორბუტი და ფინელი მორბენალი ლასე ვირენი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 5 და 10 კილომეტრზე რბენაში. გუშინდელ გადაცემაში აქ კვლავ უჩვენეს კორბუტის გამოსვლები დერეზე და თავისუფალ ვარჯიშში.

რომი, 12 სექტემბერი. დედაქალაქის „კორიერე დელო სპორტი“ მიუნხენიდან ცალკე მასალას უძღვნის სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელთა ფინალურ მატჩს და ხოტბას ასხამს საბჭოთა სპორტსმენების თამაშს. გაზეთი წერს: „... საბჭოთა ნაკრებმა შეძლო მსოფლიო კალათბურთის მწვერვალიდან ამერიკელთა ჩამოქვეითება შვიდი ოლიმპიადის შემდეგ, რომლებშიც აშშ-ს წარმომადგენლებს არც ერთი მატჩი არ წაუგიათ“.

„მიუხედავად იმისა, რომ დავა ძალიან ცხარე იყო, — აგრძელებს „კორიერე დელო სპორტი“, — ობიექტურად, სსრ კავშირის კალათბურთელები თავიანთ მეტოქეებზე უკეთესად თამაშობდნენ. მათ გაუძღვეს დაწოლას უადრესად მახვილგონივრული დაკვრის მოწყობით (ეს მწვრთნელი კონდრაშინის ნაშდეული სიურპრიზი იყო) და ამერიკელებს ტყორცნის სიზუსტეშიც სჯობდნენ. სწორედ ამაში იმალებოდა აშშ-ს კალათბურთელთა წაგების მიზეზი“.

იტალიის კომპარტიის ორგანო — გაზეთი „უნიტა“ წერს: „ამერიკელებისთვის ოლიმპიური თამაშები მხიარულად როდი დამთავრდა. ოქროს медლების კოლექცია იმაზე მეტყველებს, რომ 50 ჯილდო სსრ კავშირმა მოიგო, 33 — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და 20 — გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. ასე მწარედ ამერიკელები, რომლებიც მეხიკოს ოლიმპიადაში პირველობდნენ, კაცმა რომ თქვას, არც დამარცხებულან“.

მილანის „ჯორნომ“ საბჭოთა სპრინტერის ვალერი ბორზოვის ფოტოგრაფია დაბეჭდა.

ყველა გაზეთი ძალიან აქებს XX ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირისა და გდრ-ის სპორტული დელეგაციების გამოსვლას და დადებითად აფასებს იტალიელ სპორტსმენთა წარმატებებს.

ნიუ-იორკი, 12 სექტემბერი. ჟურნალი „ნიუსუიკი“ კომენტარს უკეთებს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებს და პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ამერიკელი სპორტსმენები ცუდად გამოვიდნენ. გარდა ამისა, ამერიკელ სპორტსმენებსა და მათს ოფიციალურ ხელმძღვანელებს უზრდელად და ყოყლოჩინურად ეჭირათ თავი“.

გაზეთი „დეილი ნიუსი“ წერს, რომ დასავლეთ გერმანიაში გამართული თამაშები ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ყველაზე უსიერო ოლიმპიადა იყო.

სპორტი მოკლედ

ჩემპიონები



ი. ტიმოშინინი და გ. კორშიკოვი

ჩვენც ვეძებთ ტალანტებს!

საქართველოს კომკავშირის თბილისის კომიტეტისა და ჩვენი დედაქალაქის სპორტკომიტეტის თაოსნობით მძლეოსნობაში ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენის მიზნით 20-25 სექტემბერს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ეწყობა ღია სტარტები, რომლებშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, საშუალო სკოლების, საწარმოთა კოლექტივების, განათლების განყოფილების, საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების, სპორტსკოლა-ინტერნატის სხვადასხვა ასაკის ფიზკულტურელებს. სტარტზე გამოვლენ 1959-60, 1957-58, 1955-56, 1953-54 წლებში და 1952 წელს დაბადებულნი და უფროსი ასაკის წარმომადგენლები.

უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, საშუალო სკოლების, საწარმოთა კოლექტივების, განათლების განყოფილებისა და საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების, სპორტსკოლა-ინტერნატის დირექციებს, ფიზკულტურულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ევალებათ უზრუნველყონ დღია სტარტებში თანაბარი ფიზკულტურელების მასობრივად მონაწილეობა.

20-21 სექტემბერს „ჟორჟანელის დღეა“. გოგონები, ქალიშვილები და ქალები 100, 200, 400, 800, 1500 და 3000 მეტრზე იასპარეზებენ. ბიჭები, ჭაბუკები, იუნიორები და ვაჟები კი 100, 200 400, 800, 1500, 3000, 5000 მეტრზე, 2000 და 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ცდიან ძალებს

22 სექტემბერს სტადიონი მხტომელებს დაეთმობათ. გოგონები, ქალიშვილები და ქალები სიგრძესა და სიმაღლეზე, ხტომაში იასპარეზებენ, ბიჭები, ჭაბუკები, იუნიორები და ვაჟები კი სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, სამხტომსა და ჭოკით ხტომაში.

23 სექტემბერი „მბაყორცნელის დღეა“. ამ დღეს ასპარეზობათა პროგრამაშია ბადრეკა, შუბის, ურმის ტყორცნა, ბირთვის ჯერა.

24-25 სექტემბერს სტადიონზე გამოვლენ მრავალჯიდელები, თარჯიმრბენელები, სპორტული ეროსიარულები. გოგონები, ქალიშვილები და ქალები სამჯიდრი, ხუთჯიდსა და 100 და 200 მეტრზე თარჯრბენში ცდიან ძალებს, ბიჭები, ჭაბუკები, იუნიორები და ვაჟები კი ხუთჯიდსა და ათჯიდრი, 100, 200 და 400 მეტრზე თარჯრბენში, 10 და 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში იბრძოლებენ სპრინტი ადგილებისთვის (ყველა სახეობაში პირველ სამ ადგილზე გასული მძლეოსნები ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის დიპლომებით დაჯილდოვდებიან).

ორგანიზაციებმა, ინდივიდუალურმა მონაწილეებმა განაცხადები შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს 19 სექტემბრის 13 საათამდე უნდა წარუდგინონ, 19 სექტემბრის 13 საათზე კი კომიტეტში მსაჯთა კოლეგიისა და წარმომადგენელთა თათბირი გაიმართება.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შეჯიბრებები ყოველდღე 16 საათზე დაიწყება.

„ღია სტარტების“ მიღმა არავინ უნდა დარჩეს!

მუშვილდეების წუილი ანგისაში

„კოლმეურნის“ ხელვაჩაურის რაიხბჭომ (თავმჯდომარე ვ. ჭყონია) მშვილდოსნობაში რესპუბლიკის იუნიორთა პირად-გუნდური პირველობის მონაწილეებს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა — სოფელ ანგისას სტადიონზე შესანიშნავად მოაწყო და გააფორმა მშვილდოსანთა სპეციალური სარბიელი.

სტარტზე 36 სპორტსმენი გამოვიდა. ისინი გამარჯვებისთვის „მ-2“ ვარჯიშში იბრძოდნენ. ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 15 წლისა იყო, ყველაზე უფროსი — 21 წლისა. მაგრამ პროგრამის სირთულეს არავინ შეუშინებია და მონაწილეებმა რესპუბლიკურ რეკორდებსა და სპორტის ოსტატობის ნორმატივებს გაბედულად შეუტიეს.

ქალიშვილთა შორის გამარჯვებისთვის თვიდასვენ უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა თბილისის მე-9 სკოლის მეათეკლასელმა ც. სუმბაძემ და ქუთაისის ს ორჯონიკიძის სახელობის აეროკოსმოსურ ნაწილის საავადმყოფოს მედიცინის დამ დ. ლოსაბერიძემ რომელიც უფრო გამოცდილი სპორტსმენია.

ოთხდღიანი ასპარეზობა საბოლოოდ ლოსაბერიძის გამარჯვებით დამთავრდა: „მ-2“ ვარჯიშის ჯამში მან 2056 ქულა მოაგროვა და 24 ქულით აჯობა სუმბაძეს, რომელმაც სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა

ლოსაბერიძემ მოიგო 70 მეტრზე სროლა (474 ქულა), ხოლო სხვა დისტანციებზე III ადგილები დაიკავა — 60 მეტრზე 470 ქულა მოაგროვა, 50-ზე — 507, 30-ზე — 605 სუმბაძემ ყველას აჯობა 60 (495) და 50 მეტრზე (514) ისრის ტყორცნაში, 30 მეტრზე 607 ქულით II, ხოლო 70 მეტრზე 416 ქულით III ადგილი დაიკავა.

საერთო III ადგილი ხვდა თბილისელ მ. გეკორკიანს (1948 ქულა), რომელმაც 70 (424) და 60 მეტრზე (482) II ადგილები დაისაკუთრა.

30 მეტრზე-შეჯიბრებაში საუკეთესო გახლდათ ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორანტი, თბილისელი ლ. რაზმაძე. მისი შედეგია 620 ქულა მანვე ამ დისტანციაზე „მ-1“ ვარჯიშში ქალიშვილთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა — 511 ქულა.

ქალიშვილთა გუნდური პირველობა თბილისელებმა მოიგეს. II ადგილზე აჭარის სპორტსმენები გავიდნენ, III — აფხაზეთის მშვილდოსნები.

იუნიორებში „მ-2“ ვარჯიშის ჯამში გამარჯვება თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის მესამეკურსელმა გ. არჩვაძემ, რომელმაც 2214 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჯერთა აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. მისი შედეგი 52 ქულით სჯობს ქუთაისელი ვ. სოხაძის მიერ აგვისტოში ლვოვის სარბიელზე დამყარებულ რესპუბლიკურ რეკორდს. არჩვაძემ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. ოთხი მანძილის ჯამში გამარჯვებულს არც ერთ დისტანციაზე არ ჰყავდა ბადალი: 90 მეტრზე 450, 70 მეტრზე 552, 50 მეტრზე 576, 30 მეტრზე კი 636 ქულა მოაგროვა. პირველ სამ დისტანციაზე არჩვაძეს საქართველოს რეკორდები შესაბამისად 3, 19 (ორივე რეკორდი სოხაძეს ეკუთვნოდა) და 16 ქულით (უწინდელი მიღწევა თბილისელ ვ. ტროპინს ეკუთვნოდა) გაუმჯობესა.

არჩვაძეს საგრძნობლად ჩამორჩა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. პატატიშვილი, რომელმაც 1975 ქულით II ადგილი დაისაკუთრა. III ადგილზეა ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ბ. ქორიძე — 1950.

იუნიორთა შორისაც გუნდური ადგილები ისე განაწილდა, როგორც ქალიშვილებში და, ცხადია, საერთო გუნდური პირველობაც თბილისელებს დარჩათ. II ადგილზე აჭარის მშვილდოსნები გავიდნენ, III — აფხაზეთის წარმომადგენლები.

სამწუხაროდ, ტურნირში ქუთაისის ოლექტრონი არ გამოსულა, რაც იმის შედეგია, რომ ამ ქალაქში მშვილდოსნებისთვის წერთნის ნორმალური პირობების შექმნისთვის არავინ ზრუნავს. არა და, ქუთაისში საკმაოდ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებსაც შესწევთ ძალა და უნარი გვერდში ამოუდგნენ ოლიმპიელ ქეთევან ლოსაბერიძეს. ქუთაისელ მშვილდოსანთა სათანადო სწვრთნელი პირობების უქონლობაზე უწინაც ითქმა, მაგრამ ჯერჯერობით ეს რჩება სხვად ლადდისა უდაბნოსა შინა...

ა. ბაძრაძე,
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. ანგისა,
ხელვაჩაურის რაიონი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ფიშერს სკოლები მოელიან

ფიდე-ს ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ბ. კაჟიჩი (იუგოსლავია) ამას წინათ რეიკიავიკში შეხვდა მსოფლიო ჩემპიონს რ. ფიშერს.

ჭადრაკის იუგოსლავიელ მესვეურს აინტერესებდა, აპირებს თუ არა ფიშერი XXII საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობას, როგორც აშშ-ს გუნდის წევრი.

როგორც მსოფლიო ჩემპიონი, ფიშერი ავტომატურად გახდა ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის წევრი და უფლება აქვს დავსწროს ფიდე-ს კონგრესს, რომელიც თვის სხდომებს ოლიმპიადის დღეებში, 20 სექტემბრიდან გამართავს სკოპლეში.

— ალბათ მალე შეხვდებით ერთმანეთს, — უთხრა ფიშერმა კაჟიჩს.

— როგორც ჩანს, — დასძინა ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა, — მსოფლიო ჩემპიონი სკოპლეში ჩამოვა, მაგრამ მას გარკვევით არ უთქვამს, ითამაშებს, თუ არა.



საკმეველი სწორეთქოსთან

✦ ᲙᲐᲡᲞᲘ

14 ფიზკულტურული კოლექტივის ფრეხბურთელები მონაწილეობდნენ „კოლმეურნის“ რაიონულ პირველობაში. შეჯიბრება სამ ზონად გაიმართა. ზონებში გამარჯვებულებმა „ითამაშეს“ ფინალი. I ადგილზე გავიდა ზემო ხანდაკის კოლმეურნეობის გუნდი. II ადგილზეა ქსნის საბჭოთა მეურნეობის ნაკრები, ხოლო III — ქვემო გომის კოლმეურნეობის კოლექტივი.

ლ. ელისაბედაშვილი.

✦ ᲙᲝᲒᲣᲚᲔᲗᲘ

ფრენბურთელთა გუნდების რაიონულ პირველობაში გაიმარჯვეს: ქალებში — ორხევურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა, ვაჟებში — ცეცხლურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა. ჩაისუბნის, კვირიკეს კოლმეურნეობებმა, მუხესტატეს საბჭოთა მეურნეობამ და ზოგიერთმა სხვამ თავი აარიდეს შეჯიბრებას.

ლ. ტრაპაიძე.

ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის ბეჭდვა. ლენინის ქ. № 14.

უᲒ 04618